



EECMD

აღმოსავლეთ ევროპის
ცენტრი მრავალპარტიული
დემოკრატიისათვის.

საკარლამენტო არჩევნები 2020

დიალოგი

ამომრჩეველთან





საპარლამენტო არჩევნები 2020 დიალოგი ამომრჩეველთან

საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი ეტაპია ქვეყნის ცხოვრებაში, რომელიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში საკანონმდებლო სფეროში მიმდინარე მოვლენებს დიდწილად განსაზღვრავს. „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის,“ როგორც დემოკრატიული პროცესების ხელშემწყობი ორგანიზაცია, აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩეველთან დიალოგში და ამავედროულად, გავუმკლავდეთ ახალ რეალობასა და გამოწვევებს.

2020 საპარლამენტო არჩევნები, ისევე, როგორც, ზოგადად, პოლიტიკური (და არა მხოლოდ) ცხოვრება საქართველოში, პანდემიის ნიშნით წარიმართა, რამაც საარჩევნო გარემოს თავისი დაღი დაასვა. COVID-19-მა მნიშვნელოვნად შეცვალა დღის წესრიგი ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში, რაც საბოლოო შედეგის მისაღწევად ხშირად, გადამწყვეტიცაა. „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ წლებია, ჩართულია ამ პროცესში და ცდილობს, დაეხმაროს მოქალაქეებს პოლიტიკური კუთვნილების განსაზღვრაში; შექმნას პოზიტიური წინასაარჩევნო გარემო და ხელი შეუწყოს პარტიებს, საკუთარი ხედვა უკეთ მიაწოდონ მოსახლეობას. წლებანდელი წინასაარჩევნო აქტივობების მიზანიც ეს გახლდათ.

ლევან ცუციჩიძე, EECMD-ს აღმასრულებელი დირექტორი: „რეალობიდან გამომდინარე, თავდაპირველი გეგმა გარკვეულწილად მოერგო არსებულ ვითარებას, თუმცა ძირითადი პრიორიტეტები არ შეცვლილა: პირველ რიგში, ეს არის ამომრჩევლის ინფორმირება. მნიშვნელოვანია, საარჩევნო ყუთთან მისვლამდე ადამიანებმა იცოდნენ, რას სთავაზობენ პოლიტიკოსები და ისე მიიღონ გადაწყვეტილება.“

მნიშვნელოვანია საარჩევნო პროგრამებიც. ვებგვერდზე www.partiebi.ge პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ მწყობრად და გააზრებულად წარუდგინონ მოსახლეობას თავიანთი პროგრამები და პრიორიტეტები, რისი საშუალებაც წინასაარჩევნო დებატებისას თითქმის არაა: პოლიტიკოსებიც და მედიაც პოპულისტურ თემებს ეჭიდებიან და ნაკლებად „ხმამაღალი“, თუმცა მნიშვნელოვანი საკითხებისთვის დრო აღარა აქვთ.

წელს განსაკუთრებით აქტუალური იყო პოლიტიკოსების დიალოგი ამომრჩეველთან: პირისპირ შეხვედრები და ადგილზე არსებული საჭიროებების განხილვა, საარჩევნო პროგრამების გაცნობა და ჭანსალი დისკუსია - არსებულ ვითარებაში ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. დღესდღეობით განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანები ერთ სივრცეში ნაკლებად იკრიბებიან. შეხვედრები ძირითადად მონოლოგის რეჟიმში მიმდინარეობს და უმეტესად დაპირისპირებით სრულდება. სულ უფრო იშვიათია ცივილური პოლიტიკური დისკუსია, სადაც თითოეული მოსაზრება შესაბამის არგუმენტს ემყარება. ამ ვითარებაში მოვახერხებთ, ამომრჩევლისა და პოლიტიკოსებისთვის მეტნაკლებად კეთილგანწყობილი გარემო შეგვექმნა“.

წინასაარჩევნო პროცესები და პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის პროგრამა

EECMD-ის პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის პროგრამა ძალზე დატვირთული აღმოჩნდა წინასაარჩევნო აქტივობების თვალსაზრისით. პანდემიის მიუხედავად, ონლაინ რეჟიმში თუ პირისპირ, ქვეყნის მასშტაბით არაერთი დისკუსია და შეხვედრა გაიმართა. ამომრჩეველმა უშუალოდ პოლიტიკოსებისგან მოისმინა მისთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხი, გაეცნო პარტიებისა თუ კანდიდატთა ხედვას. რასაკვირველია, ამ ყველაფერს სირთულეებიც თან ახლდა.

სალომე მუხურაძე, EECMD პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის პროგრამის უფროსი ოფიცერი: „COVID-19-ის პანდემიის გამო 2020 წლის დასაწყისიდანვე განსხვავებულ ფორმატში მოგვიხდა მუშაობა. არაერთი ცვლილების მიუხედავად, შევძელით წინასაარჩევნოდ წარმატებით გაგვეახლებინა ამომრჩეველთა საინფორმაციო ვებგვერდი - www.partiebi.ge, რომელიც ხელს უწყობს როგორც პოლიტიკური პარტიების წინადადებების ფორმირებას, ისე მათ საზოგადოებამდე მიტანას. მეტიც - პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ვებგვერდს შევმატეთ პროექტი - „საარჩევნო კომპასი საქართველო“, რომელიც მომხმარებელს ინფორმაციას აწვდის პოლიტიკური პარტიების პოზიციებთან დაკავშირებით და ეხმარება გაარკვიოს, რომელი პარტიის ხედვა შეესაბამება ყველაზე მეტად მის პოლიტიკურ გემოვნებას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ძალზე ნაყოფიერი ორმხრივი თანამშრომლობა პარტნიორ პოლიტიკურ პარტიებთან, რის შედეგადაც შეიქმნა სხვადასხვა სახის დოკუმენტი, მათ შორის, COVID-19-ის საპასუხო ანტიკრიზისული გეგმები.“

COVID-19-ის საპასუხო ანტიკრიზისული გეგმები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ჩვენი ორგანიზაციის წინასაარჩევნო საქმიანობაში, რომელიც დანიის ინსტიტუტის პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიისთვის (DIPD) მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტში 5 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა: „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“, „ლელო საქართველოსთვის“, „პარტია სამართლიანობისთვის“, „თავისუფალი დემოკრატები“ და „საქართველოს რესპუბლიკური პარტია.“ პარტიებმა შეიმუშავეს პანდემიასთან ბრძოლის კონკრეტული ნაბიჯები ჯანდაცვის, ეკონომიკის, სოციალური უსაფრთხოების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, განათლების, დეზინფორმაციის, საგარეო საფრთხეების თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მიმართულებით. შედეგად, შეიქმნა 5 ანტიკრიზისული გეგმა ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელთა პრეზენტაცია საქართველოს 5 ქალაქში: ბათუმში, ქუთაისში, თბილისში, გორსა და თელავში გაიმართა.

რაც შეეხება EECMD-ის სხვა წინასაარჩევნო პროექტებსა და აქტივობებს, რამდენიმე მიმართულება მოიცვა:

იმისათვის, რომ პანდემიის პირობებში ამომრჩეველს მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონოდა პარტიების პოლიტიკურ პროგრამებსა და პრიორიტეტებზე, ჩვენი ძალისხმევით

საინფორმაციო ვებგვერდი www.partiebi.ge განახლდა. პროექტი, რომელიც საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით 2012 წლიდან ხორციელდება, საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, გაეცნონ კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების ხედვას პოლიტიკის, ეკონომიკის, ადამიანის უფლებების, სოციალური კეთილდღეობის, საგარეო პოლიტიკისა და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. წელს ამ ყველაფერს პანდემიის თემაც დაემატა. მთლიანობაში, პარტიებმა 35 შეკითხვას უპასუხეს, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარა ადამიანებს, საკუთარი არჩევანი უკეთ განესაზღვრათ.

პროექტში 12 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა: „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია“, „ლეიბორისტული პარტია“, „თავისუფალი საქართველო“, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“, „სამართლიანობისთვის“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ახალი პოლიტიკური ძალა - გირჩი“, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „რეფორმატორები.“ ასევე, „დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „რეფორმერები“ და „ქართული იდეა“.

აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი იყო ქართულ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით, ვებგვერდზე საარჩევნო პროგრამის აუდიოვერსიაც განთავსდა.



www.partiebi.ge-ს ერთგვარ გაგრძელებად იქცა „საარჩევნო კომპასი საქართველო“, რომელიც ერთგვარი გზამკვლევა მრავალრიცხოვან პოლიტიკურ სპექტრში საორიენტაციოდ და საკუთარი ვექტორის გასაზრებლად. ელექტრონული პლატფორმის ფუნქცია - მიეწოდებინა მოქალაქეთათვის ინფორმაცია პოლიტიკური პარტიების პოზიციებთან დაკავშირებით, დაეხმარა ამომრჩეველს იმის გარკვევაში, ვისი ხედვა შეესაბამებოდა ყველაზე მეტად მის მსოფლმხედველობას. პროექტის მომზადებაში მონაწილეობდნენ: აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES), ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის (FNF), ჰაინრიხ ბიოლის ფონდი (HBS) და კონრად ადენაუერის ფონდი (KAS).

პროექტის ფარგლებში, ვებგვერდ www.partiebi.ge-სა და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებზე დაყრდნობით, მომზადდა კვლევა - **„წინასაარჩევნო პროგრამების მიმოხილვა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის“** (ავტორი: ბაკურ კვარაძე), რომელიც ყველა აღნიშნული პარტიის საარჩევნო პროგრამის შედარებით ანალიზს მოიცავს.

ბაკურ კვაშილავა, პოლიტიკის ექსპერტი, სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი (GIPA) „უნდა ითქვას, რომ 2020-ის პოლიტიკური პროგრამების ხარისხი გასულ არჩევნებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაც პოლიტიკური კულტურის დახვეწაზე მეტყველებს. საარჩევნო პროგრამების ხარისხი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის პოლიტიკური კულტურის განვითარებაზე: რაც უფრო მეტ მნიშვნელოვან პარტიას აქვს თანმიმდევრული, მწყობრი და კარგად ჩამოყალიბებული ხედვა, რომელსაც ამომრჩეველს სთავაზობს, პოლიტიკური განვითარების დონე მით უფრო მაღალია.“

ეს არ გულისხმობს, რომ პოლიტიკური პროგრამა პოლიტიკური კულტურის ერთადერთი განმსაზღვრელია. პოლიტიკური განვითარების დონის შესაფასებლად არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ინდიკატორებიც: პოლიტიკური ჩართულობა, საზოგადოებრივი დისკუსიის შინაარსი, პოლიტიკური ბრძოლის წესები, სახელმწიფოს მართვის სტილი და პარტიული ორგანიზაცია. კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამები მიუთითებს, რომ მმართველობისთვის მებრძოლი ჯგუფები აცნობიერებენ - მოქალაქეები მათგან ითხოვენ ქვეყნის შემდგომი განვითარების თანმიმდევრულ, გააზრებულ და კომპეტენტურ ხედვას.“


წინასაარჩევნო შეხვედრები ქალ პოლიტიკოსებთან: იმისათვის, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს მივწვდომოდით და პარტიების გზავნილები რაც შეიძლება მეტ ადამიანამდე მივვრცელდებოთ, წინასაარჩევნოდ არაერთი შეხვედრა გაიმართა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა პოლიტიკოს ქალებს მიეძღვნა. ქალთა თემატიკა ყოველთვის იყო პრიორიტეტული EECMD-ისათვის. ვცდილობთ, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი პოლიტიკურ პროცესებში მათ გაძლიერებას. გამონაკლისი არც ეს არჩევნები ყოფილა: პროექტის - „რეგიონული ჩართულობა დემოკრატიული ცენტრის შექმნის მიზნით“ (REACH for Democracy) - ფარგლებში წინასაარჩევნოდ მრავალპარტიული შეხვედრა - „წინასაარჩევნო პროგრამები და გარემო“ - გაიმართა, რომელშიც ექვსი პოლიტიკური პარტიის ლიდერი ქალი მონაწილეობდა. მისი მიზანი ქალ კანდიდატთა შორის დიალოგის გაღრმავება, 2020 წინასაარჩევნო პროგრამების წარდგენა და საარჩევნო გარემოს შეფასება იყო. ღონისძიებაზე ყურადღება გამახვილდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე მრავალპარტიული დიალოგის მნიშვნელობასა და ქალთა როლზე ამ პროცესში.



EECMD-ს კიდევ ერთი პრიორიტეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში რეგიონების მცხოვრებთა ჩართულობაა. ჩვენი გუნდი აქტიურად მუშაობდა იმისთვის, რომ პარტიებს ამომრჩეველთათვის ადგილზე გაეცნოთ თავიანთი პროგრამები და უშუალოდ მათგან მოესმინათ, რა საკითხები აწუხებთ და რას ითხოვს მოსახლეობა.

„ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მხარდაჭერა და გაძლიერება წინასაარჩევნო პერიოდში“ – ფარგლებში, თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში ჯამში **13 წინასაარჩევნო შეხვედრა** გაიმართა, სადაც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა წინასაარჩევნო პროგრამები და პარტიის ხედვები წარადგინეს და შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

შეხვედრებს წინ უძღვოდა **11 ადგილობრივი პოლიტიკის ინტერესთა დოკუმენტების მომზადება**, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონში, ფოკუს ჯგუფების საფუძველზე გამოვლენილი ინტერესების, პრობლემებისა და შესაძლო განვითარების პროექტების ვრცელი მიმოხილვაა.



დეკემბერში საზოგადოებას ახალი წიგნი შევთავაზებთ - „**საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - მეორე გამოცემა.**“ პუბლიკაცია წარმოადგენს მისი ადრეული გამოცემის, „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები“ გაგრძელებას, რომელიც 2006 წელს გია ნოდისა და ალვარო პინტო სქოლტაბის რედაქტორობით გამოიცა.

„საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - მეორე გამოცემა“ პირველზე არანაკლებ საინტერესოა და რამდენიმე პუბლიკაციას მოიცავს.

მათ შორის, კვლევებს „**საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამების განვითარება 2008-2016 წლებში**“ (ზვიად ბარქაია, ბაკურ კვაშილავა); „**საარჩევნო სისტემები და მათი გავლენა პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე საქართველოში**“ (ბაკურ კვაშილავა); „**ქალებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობაზე საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში**“ (ნინო გოგოლაძე); „**პარტიების მიერ ინტერესების გაერთიანება და პოლიტიკის შექმნა; ქართული პარტიული პოლიტიკის ბოლო ათწლეული**“ (ირაკლი ქობალია); „**საქართველო ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე: პოლიტიკური პარტიების როლი**“ (ივანე ჩხიკვაძე).

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით ბოლო ათწლეულის პოლიტიკური სპექტრის კვლევა და მასთან დაკავშირებული მოვლენების ანალიზი ნაკლებად გვაქვს, რთული არ არის ამ წიგნის მნიშვნელობის განსაზღვრა. ორენოვანი ქართულ-ინგლისური გამოცემა ერთგვარი გზამკვლევა ქართული პოლიტიკის ლანდშაფტში „სამოგზაუროდ“ და დაეხმარება პოლიტიკური მეცნიერებებით და საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებულ პირებს, ობიექტურად შეაფასონ და გააანალიზონ თანამედროვე პოლიტიკური რეალობა.

წინასაარჩევნო პროცესები და დემოკრატიის განათლების პროგრამა

წინასაარჩევნო პერიოდში დემოკრატიის განათლების პროგრამის საქმიანობა საარჩევნო პროცესებში მოქალაქეთა უფრო მეტად ჩართულობას და ინფორმირებას ითვალისწინებდა. პროექტების უმეტესობაც ამ მიმართულებით დაიგეგმა. მნიშვნელოვანი იყო, მაქსიმალური ინფორმაცია მიგვეტანა ამომრჩევლამდე, ხელი შეგვეწყო მათი ურთიერთობისთვის პოლიტიკოსებთან და ამავდროულად, მოვრგებოდით არსებულ რეალობას.

წინო ხითარიშვილი, EECMD დემოკრატიის განათლების პროგრამის უფროსი ოფიცერი:

„2020 წლის არჩევნები რამდენიმე მიმართულებით აღმოჩნდა გამორჩეული. ყველაზე მეტი დაბრკოლება პანდემიამ შექმნა, თუმცა, COVID-19-ით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, არ შეგვიწყვეტია მუშაობა, მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა მოქალაქეებისთვის და ამომრჩეველსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის აქტიური დიალოგი გავვემართა.

დემოკრატიის სკოლებში წელსაც ჩატარდა ტრადიციული წინასაარჩევნო შეხვედრები. პარტიების პროგრამებზე დისკუსიის გარდა, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ კანდიდატებისთვის ის ძირეული საკითხები გაეცნოთ, რომლებზეც ბოლო თვეებში იმუშავეს და რომელთა შედეგებიც მოქალაქეთა ხედვის დოკუმენტებში აისახა.

მსგავსი ფორმატი მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის, იმდენად, რამდენადაც აძლიერებს ამომრჩეველსა და პოლიტიკოსებს შორის დიალოგს; ხელს უწყობს ქვეყანაში ისეთი პოლიტიკის წარმოებას, რომელიც მოქალაქეთა ინტერესებს და საჭიროებას ეხმიანება.“

წინასაარჩევნოდ EECMD დემოკრატიის განათლების პროგრამის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა:

პროექტის - „რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩეველთა გაძლიერება დემოკრატიისთვის“ (DRIVE Democracy) ფარგლებში, რომელიც USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს ჩვენმა ბენეფიციარებმა **საქართველოს 5 ქალაქში „რეგიონული განვითარების გზამკვლევები“ (მოქალაქეთა ხედვის დოკუმენტები) შექმნეს**, სადაც თითოეული რეგიონისთვის აქტუალური საკითხები შევიდა და **საბოლოოდ 8 დოკუმენტი მომზადდა**. თბილისში, გორში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში სამუშაო პროცესს წინ უძღოდა რამდენიმე თვიანი ინტენსიური სასწავლო კურსი. ავტორებმა მცირე კვლევები ჩატარეს და თავიანთი რეკომენდაციებიც შემოგვთავაზეს, მომდევნო ეტაპზე კი ეს დოკუმენტები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს გაცენეს.

ნინო ხითარიშვილი, EECMD დემოკრატიის განათლების პროგრამის უფროსი ოფიცერი:

„მოქალაქეთა ხედვის დოკუმენტები 2020 არჩევნებისთვის პირველად მომზადდა, ამიტომაც ეს პროექტი ჩვენთვის მნიშვნელოვანი. თუ მანამდე დემოკრატიის სკოლების კურსდამთავრებულთათვის „სტანდარტული“ წინასაარჩევნო შეხვედრები იმართებოდა, სადაც უმეტესად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საუბრობდნენ, ამჯერად მოქალაქეებმაც გამოთქვეს სურვილი, პოლიტიკოსებისთვის თავიანთი ხმა მიეწვინათ; გაეცნოთ მათთვის კონკრეტული ქალაქის მცხოვრებთა პრობლემები, რათა ამ უკანასკნელთ ეს ყველაფერი საკუთარ პროგრამებში აეხასიათა.“



კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც წინასაარჩევნოდ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით შექმენით, **მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პროგრამა „კონსულია“** - ციფრული პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიულ პროცესებში მოქალაქეთა აქტივობას. ასევე მათ დიალოგს საზოგადოებასა და პოლიტიკოსებთან.

ახალი პლატფორმა საშუალებას აძლევს ამომრჩეველს, მონაწილეობა მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში და ღიად გამოხატოს საკუთარი მოთხოვნები და პოზიცია. **„კონსულია“ ქართულ ენაზე ითარგმნა და საქართველოს 5 ქალაქში ამოქმედდა.** პანდემიის დროს ამან განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა: მნიშვნელოვანი იყო, შეზღუდული კომუნიკაციის პირობებში ადამიანებს ჰქონოდათ ღია პლატფორმა, სადაც თავისუფლად შეძლებდნენ მათთვის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობას.

DRIVE Democracy, ჩვენი ინიციატივების გარდა, რეგიონებში სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობასაც ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია, ბენეფიციარებმა დამოუკიდებლად წამოჭრან ადგილობრივთათვის საჭირობო როტო საკითხები და თავადვე შეეცადონ მათ მოგვარებას. სწორედ ამას ემსახურებოდა **ჩვენ მიერ გამოცხადებული მცირე საგრანტო კონკურსი**, რომლის პრიორიტეტი სამოქალაქო ჩართულობის გზით ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერებაზე ორიენტირებული ინოვაციური იდეების მხარდაჭერაა. გამარჯვებულთა შორის იყო პროექტი - **„ინფორმირებული მოქალაქე გაცნობიერებული არჩევანი!“ - ქუთაისის ჯგუფიდან**, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობაში საარჩევნო კულტურის განვითარებას რეგიონში.

წინასაარჩევნოდ ასევე აქტიურად ვცდილობდით ამომრჩევლებთან დიალოგს, რათა პარტიების ხედვა და საარჩევნო პროგრამები მოსახლეობისთვის უფრო გასაგები გაგვეხადა. საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, დემოკრატიის სკოლების კურსდამთავრებულებისა და Drive Democracy-ის მონაწილეთათვის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებთან პირისპირ და ონლაინ შეხვედრები გაიმართა.

წლებია, ეს პროექტი საქართველოში მიმდინარეობს და მოიცავს შეხვედრების ციკლს, სადაც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები დემოკრატიის სკოლების კურსდამთავრებულებსა და დაინტერესებულ პირებს საკუთარ ხედვას აცნობენ და მათგანაც ისმენენ მნიშვნელოვან საკითხებზე სხვადასხვა მოსაზრებას. ამჯერად საქართველოს ხუთ რეგიონში განხილვის თემა სხვადასხვა აქტუალურ საკითხს შეეხო, როგორცაა ადგილობრივი თვითმმართველობისა და ეკონომიკის გაძლიერება, დევნილი მოსახლეობის უსაფრთხოება და სოციალური კეთილდღეობა, ახალგაზრდების, ქალების, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ცხოვრება და პოლიტიკაში ჩართულობა და სხვა.

ჯამში ქვეყნის მასშტაბით 16 ასეთი შეხვედრა გაიმართა და რეგიონებში არსებული პრობლემები უკეთ დაგვანახა.

წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემოს შეფასება საქართველოსა და უკრაინაში

მაია მაჭავარიანი, პროგრამების უფროსი კოორდინატორი: “2020 წელს COVID-19-ის კრიზისი მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა როგორც საქართველოს საპარლამენტო, ასევე უკრაინაში დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის. ორივე ქვეყნისთვის ეს იყო ერთგვარი მიჯნა დემოკრატიისა და ახალი პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირების პროცესში.

წინასაარჩევნოდ ჩვენ შევეცადეთ საქართველოსა და უკრაინის პროგრამული აქტივობების მაქსიმალურად დაკავშირება ონლაინ პანელური დისკუსიებისა საშუალებით, რომელიც ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვალ საკითხებს მოიცავდა“

სწორედ ამას ემსახურებოდა წინასაარჩევნოდ გამართული ერთ-ერთი ონლაინ-კონფერენციაც. შეხვედრაში სახელწოდებით - „წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემოს შეფასება საქართველოსა და უკრაინაში“, ორივე ქვეყნის წამყვანმა პოლიტიკის ექსპერტებმა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა უკრაინასა და საქართველოში არსებულ წინასაარჩევნო გარემო, ძირითადი გამოწვევები და ზოგადი პოლიტიკურ ვითარება განიხილეს.

საბოლოოდ, EECMD-ის ორივე პროგრამის მიერ ორგანიზებული შეხვედრები მასში მონაწილე მხარეებისთვის ნაყოფიერი და საინტერესო აღმოჩნდა. პარტიათა წარმომადგენლებმა უშუალოდ მოსახლეობისგან მოისმინეს მათი პრობლემები და დაჰპირდნენ ამ ყველაფრის საარჩევნო პროგრამებში გათვალისწინებას. რაც შეეხება საზოგადოებას და ამომრჩევლებს, მათთვის მნიშვნელოვანი იყო, პირისპირ შეხვედროდნენ პოლიტიკოსებს, რომელთაც თავიანთი პოზიციების ლობისტებად მოიაზრებდნენ პარლამენტში და ანდობდნენ საკუთარ საარჩევნო ხმას; მიელოთ მათგან მაქსიმალური ინფორმაცია და გააზრებული არჩევანი გაეკეთებინათ. სწორედ ამისკენ იყო მიმართული წინასაარჩევნოდ ჩვენი ორგანიზაციის თითოეული წევრის ძალისხმევა.

ლევან ცუცქერიძე, EECMD-ის აღმასრულებელი დირექტორი: „2020 წინასაარჩევნო პერიოდი ჩვენთვის განსაკუთრებული აღმოჩნდა. რთული ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, საზოგადოებას მასშტაბური ინფორმაცია მივაწოდეთ. დისკუსიისა და დიალოგის მრავალფეროვანი ფორმატები შევქმენით და ვამუშავეთ, როგორც პირისპირ, ასევე - ონლაინ რეჟიმში.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველმხრივ დაძაბული წელი გვექონდა: დაწყებული ჯანდაცვის პრობლემებიდან - პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული ღრმა კრიზისისა და უკიდურესად პოლარიზებული წინასაარჩევნო გარემოს ჩათვლით, მოვახერხეთ, შეგვენარჩუნებინა როგორც პოლიტიკის შესახებ დისკუსია, ასევე, პოლიტიკური პარტიების მუშაობა საარჩევნო პროგრამებზე და მათი ნააზრევი ამომრჩევლებამდე მიგვეტანა. არსებულ ვითარებაში ეს მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. მოხარული ვარ, რომ EECMD-ის გუნდთან ერთად ღირსეულად გავუმკლავდით ყველა გამოწვევას.“



EECMD

აღმოსავლეთ ევროპის
ცენტრი მრავალპარტიული
დემოკრატიისათვის.

**აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი
მრავალპარტიული დემოკრატიისათვის
(EECMD)**

შარაშიძის 7, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 291 56 50/51

ელ.ფოსტა: contact@eecmd.org